2-18361/22
21-11-2022

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს NN 76/1; 12.07.2022, 76/2; 12.07.2022, 76/3; 12.07.2022, 55/3; 24.05.2021 და 188/4; 10.10.2022 გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულოდ განსახილველად გადმოეცა:

- საქართველოს პარლამენტის წევრების: ანრი ოხანაშვილის, ალუდა ღუდუშაურის, გიორგი ამილახვარის, რატი იონათამიშვილის, ნინო იობაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, დავით მათიკაშვილისა და ალექსანდრე ტაბატაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონის პროექტი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/94; 01.07.2021 -** განხილვის ვადა 2022 წლის 30 ნოემბრამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: ანრი ოხანაშვილის, ალუდა ღუდუშაურის, გიორგი ამილახვარის, რატი იონათამიშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, ნინო იობაშვილის, გურამ მაჭარაშვილისა და დავით მათიკაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონების პროექტები: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№**07-3/95; 01.07.2021-** განხილვის ვადა 2022 წლის 30 ნოემბრამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: მიხეილ დაუშვილის, გიორგი ხოჯევანიშვილის, ბექა ლილუაშვილისა და ანა ბუჩუკურის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/96; 07.07.2021-** განხილვის ვადა 2022 წლის 30 ნოემბრამდე);

- საქართველოს პარლამენტის წევრის ანა ნაცვლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/51; 19.05.2021 -** განხილვის ვადა 2022 წლის 30 ნოემბრამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: ანა ნაცვლიშვილის, სალომე სამადაშვილის, დავით უსუფაშვილის, შალვა შავგულიძის, პაატა მანჯგალაძის, ხატია დეკანოიძისა და თამარ კორძაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/252; 05.10.2022** - განხილვის ვადა 2022 წლის 14 დეკემბრამდე).

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად ევროპული კომისიის მხრიდან დადგენილი 12 პუნქტიანი გეგმის შესაბამისი ნაწილის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის 9 ნოემბერს ინიციირებული N07-3/265 საკანონმდებლო ინიციატივა დასკვნისათვის უნდა გაეგზავნოს ვენეციის კომისიას, ხოლო დასახელებული ინიციატივებიც სწორედ საერთო სასამართლოების საქმიანობის ცალკეული საკითხების ახლებურ მოწესრიგებას ითვალისწინებს და ბევრწილად ფარავს ან დაკავშირებულია ერთმანეთთან, მიზანშეწონილია, რომ მათი განხილვაც მოხდეს ვენეციის კომისიის დასკვნის მიღების შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის ვადის გაგრძელება **60 დღით**.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე